PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - სსიპ კასპის კოლეჯის მებოსტნეობის პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა ქორთუა

წევრები: თამარ ზარანდია

კასპი, 2022წ

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ----სსიპ კასპის კოლეჯი----------

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: --------სსიპ ----------

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------[redacted]----------

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[redacted] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 დეკემბრის № 1433992 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის 12 იანვარს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა სსიპ კასპის კოლეჯის „მებოსტნეობის" საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ბიბლიოთეკართან. ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, A, B, C სასწავლო გარემო.

სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა პროგრამაში ჩართულ პედაგოგებთან ჩატარებული ტრენინგების მტკიცებულებები, მატერიალური აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაცია, სასწავლო გარემოს და აღჭურვილობების ფოტოები.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1) კომპონენტის შესრულების უზურნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას, დირექტორის 15.11.2021 წლის N142 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები და თარიღები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შესასრულებელი დავალებების შესრულების ვადა 2022 წლის 31 იანვარია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნის პროექტებთან დაკავშირებით სსიპ კასპის კოლეჯის არგუმენტირებულ პოზიციის (No 72999 27/01/2022) ფარგლებში, წარმოდგენილი 27.01.2022, აღნიშნულია რომ ამ ეტაპზე კოლეჯს შესყიდული აქვს და ადგილზეა C გარემოსთვის საჭირო ყველა აღჭურვილობა. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე 2.2.1 ინდიკატორით მიცემული შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია, ექსპერტებმა ჩავთვალეთ, რადგან ადგილზე არ გვინახავს ბოლოს შესყიდული მასალები და ასევე C გარემოს მოწყობა ჯერ არ დასრულებულა, აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი შეგვეფასებინა მეტწილი შესაბამისობით.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

V რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

2.2 (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალური რესურსით C გარემოს აღჭურვა შესაბამისობის გეგმაში მოცემული ვადების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

განმავითარებელი რეკომენდაციები

VI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მებოსტნეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის N142 12.11.2021 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. კასპი, აღმაშენებლის 168ვ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

VII პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

სსიპ კასპის კოლეჯის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება, კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ კასპის კოლეჯის მისიაა რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და ხარისხიანი განათლების მიწოდება, რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მებოსტნეობის პროგრამა ეხმიანება კოლეჯის მისიას, რომელიც მრავალპროფილურია.

კოლეჯის მიერ მიზანშეწონილობა დასაბუთებულია კონცეპტუალურ, რესურსულ, ეკონომიკურ და ოპერაციულ ჭრილში. კონცეპტუალური მიზანშეწონილობის წყაროებად გამოყენებულია მეორადი დოკუმენტების ანალიზი, როგორიცაა: 1. შრომის ბაზრის ანალიზი. 2020წ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2. სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024, 3. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.

ამავდროულად კოლეჯს დასაბუთებული აქვს რომ მებოსტნეობის პროგრამას აქვს მაღალი თვითდასაქმების საშუალება.

კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ (სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №3 ბრძანებით/ცვლილება 11.11.2021, N139); აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების ნაწილში გაწერილია პროცედურა - პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივის წარდგენა, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები, მომზადებული პროგრამის წარდგენა ხელმძღვანელობასთან და მისი დამტკიცება, პროგრამაში ცვლილებების შეტანის, გაუქმების და პროგრამის განვითარების მექანიზმები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯს შემუშავებული აქვს კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; (20.10.2021), რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტთან „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“

მებოსტნეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლებაა. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია. აპლიკანტები პროგრამაზე შეირჩევიან მოტივაციური გასაუბრებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს სამოტივაციო გამოკითხვის ფორმა.

წინაპირობაა არაა იმდენად თავისუფალი, რომ ისეთი პირები ჩაირიცხონ პროგრამაზე, რომლებიც წინასწარი შეცნობით ვერ დაძლევენ პროგრამას, და არც ზედმეტად შემზღუდველი, ვიდრე ეს არის განსაზღვრული ჩარჩო დოკუმენტით.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

პსდ-ში არსებობს **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია,** რომელიც დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის №25 ბრძანებით, რომლის საფუძველზეც დაწესებულებამ შეიმუშავა **მებოსტნეობის პროგრამაში ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია**. აღნიშნული მეთოდოლოგია პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენა ეფუძნება A, B და C სასწავლო გარემოს, მატერალურ-ტექნიკურ აღჭურვილობებს, მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ფინანსურ რესურსებს. აღნიშნული რესურსები ძირითადად მებოსტნეობის პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოიყენება და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

მებოსტნობის პროგრამაში მითითებული რესურსები (A,B, C გარემო), სასწავლო რესურსი, აღჭურილობები და ტექნიკა, ავეჯი) რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ თანახმად შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე.

მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების კოლეჯის დირექტორის N142 12.11.2021 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – „მებოსტნეობა“ – სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სახელწოდება წარმოადგენს სწავლების სფეროს იდენტიფიკატორს და ქმნის სწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
შედეგი მოიცავს მებოსტნის ფუნქცია–მოვალეობებსა და კომპეტენციებს, როგორიცაა: ბოსტნის მოწყობა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოვლა; ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების დაცვა; ბოსტნეული,ბაღჩეული კულტ. აღება-შენახვა; დახურული გრუნტის მოწყობა და სხვ.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი სოფლის მეურნეობა / Agriculture სარეგისტრაციო ნომერი - 09114-პ

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2 და B1).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კასპის კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება - დამტკიცებული სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის N10 ბრძანებით
2. მიზანშეწონილობის დასაბუთება
3. გასაუბრებები
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი“ სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №3 ბრძანებით/ცვლილება 11.11.2021, N139
5. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი -ჩარიცხვის ნაწილი (თავი მეორე) დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანებით
6. აპლიკანტთა მოტივაციური გასაუბრების ფორმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

7. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის №25 ბრძანება
8. პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დასაბუთება მებოსტნეობის პროგრამისათვის
9. საგანმანათლებლო პროგრამის „ მებოსტნეობა“ დამტკიცების აქტი -სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის N142 12.11.2021 ბრძანება
10. პროგრამა მებოსტნეობა და მისი დანართები - დამტკიცებული სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის N142 ბრძანებით
11. წიგნების კატალოგი

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

A გარემო - გამოყოფილი მხოლოდ მებოსტნეობის პროგრამისათვის 15 პროფესიულ სტუდენტზე, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. A გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), კარადა.

B გარემო - აუდიტორია #103 - განთავსებულია 16 პერსონალური კომპიუტერი, 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

C გარემოსთვის გამოყოფილია - სათბური 240კვ.მ , რომელიც დამონტაჟებულია კოლეჯის ეზოში და ასევე გამოყოფილია ღია გრუნტი სათბურის გვერდზე როგორც დამატებითი რესურსი. ღია გრუნტის შემოღობვა იგეგმება 2022 წლის ბიუჯეტიდან.

C გარემოსთვის აღჭურვილობების შესყიდვა დასრულებულია. ადგილზე მოტანილია აღჭურვილობების უმეტესობა, დარჩენილია რამოდენიმე ნივთის მოწოდება, რომელთა ადგილზე მოტანა დასრულდება იანვრის ბოლოსთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
კოლეჯს მემორანდუმი აქვს გაფორმებული ფიზიკურ პირთან რევაზ საათაშვილთან პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად და აღნიშნულ პარტნიორს გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში დამატებით პრაქტიკის ობიექტად. პარტნიორი წარმოადგენს მსხვილ ფერმერს მებოსტნეობის მიმართულებით და ფლობს თანამედროვე მოწყობილობებს - ნიადაგის დამუშავების, მცენარეთა მოვლის საშუალებების შეტანის და ასევე მოსავლის აღების. მიუხედავად იმისა რომ პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკა არ არის გათვალისწინებული და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა მთლიანად კოლეჯში, შესაბამისი პარტნიორის ყოლა პლიუსია კოლეჯისთვის რადგან საველე ვიზიტები კიდევ უფრო გაამყარებს პროფესიულ მსმენელთა ცოდნას.

რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალური რესურსით C გარემოს აღჭურვა შესაბამისობის გეგმაში მოცემული ვადების გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

მებოსტნეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 23 პროფესიულ მასწავლებელთან, რომელთაგან 4 უძღვება პროფესიულ, 2 ქართული ენის, ხოლო დანარჩენი 17 ზოგად მოდულებს. პროგრამის მდგრადობისთვის თითოეულ მოდულზე გათვალისწინებულია მინიმუმ ორი მასწავლებელი. სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 15. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან არის 23/15, რაც სრულად უზრუნველჰყოფს მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროფესიული მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), მათი საათობრივი დატვირთვა და მოხდა მათთან გასაუბრება. მოწოდებული აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე **თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.**

კოლეჯის მხრიდან ახალ აყვანილ პერსონალთან ჩატარდა ტრენინგი შემდეგი მიმართულებებით: **მოდულური სწავლება, სასწავლო გეგმების შედგენა და სასწავლო გარემო, შეფასების სისტემა.**

რეკომენდაცია - პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ახალი აყვანილია და ჯერ არ გაუვლია ტრენინგები, კოლეჯმა ჩაატაროს ტრენინგები მოდულური სწავლების სპეციფიკას, სასწავლო გეგმების შედგენისა და შეფასების სისტემის მიმართულებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დამატებით სხვა ფუნქციას არ ასრულებს და მხოლოდ მებოსტნეობის პროგრამას უხელმძღვანელებს. სამუშაო აღწერილობაში ნათლად ჩანს მისი ფუნქციები, როგორიცაა პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში მონაწილეობა, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში, ვერიფიკაციის პროცესში და ფორმალური განათლების აღიარებაში, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მონიტორინგში მონაწილეობა.

პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პსდ-ში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. კატალოგში წიგნების გასწვრივ მითითებულია სახელმძღვანელო ნაბეჭდი სახითაა თუ ელექტრონული სახით წარმოდგენილი. სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული სასწავლო რესურსი დატანილა CD დისკზე, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. მომხმარებლისათვის მასალების მიწოდება შესაძლებელია როგორც ადგილზე დაბეჭდვით ასევე ელექტრონულ მატარებლებზე გადატანით.

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულების ვებ. გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის კატალოგი.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებაში სასწავლო ფართი/ინფრაქსტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებების შესაბამისად (ბილიკი უსინათლოებისათვის, ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები ეტლით მოსიარულეთათვის)

კოლეჯის პროფესიული **საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით** განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები **„წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას“.** მარეგულირებელი წესით ასევე განსაზღვრულია თუ რა იგულისხმება დამატებით მომსახურეობაში - „ **საჭიროების შემთხვევაში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფვით“

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური ბიუჯეტი წარმოადგენს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. ხარჯებში გათვალიწინებულია მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან) ბიუჯეტის19%, ნედლეული მასალები (34%) და სხვა ხარჯები (47%) . სხვა ხარჯები განკუთვნილია ადმინისტრაციის ხელფასის, კომუნალური გადასახადების, საკანცელარიო საქონელის, საველე გასვლების ხარჯი, უსაფრთხოებით გათვალისწინებული ინვენტარის შეძენისა და სხვა გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 6 პროფესიული სტუდენტი.

შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას და სწავლების მიზნების მიღწევას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პედაგოგების პირადი საქმეები
2. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების ბრძანება#28; 24.02.2021
3. წიგნების კატალოგი
4. ვებ-გვერდზე წიგნების კატალოგი
5. ბიბლიოთეკაში შერჩევითი გადამოწმება წიგნის კატალოგში არსებული ლიტერატურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

6. ბიბლიოთეკის ფონდში შერჩევითი გადამოწმება მებოსტნეობის მოდულებში მითითებული ლიტერატურის
7. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - 2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანება; ცვლილება - 20.10.2021
8. ფიზიკური გარემოს დათვალიერება შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს კუთხით
9. A, B, C გარემოს და მატერალური რესურსების, აღჭურვილობების დათვალიერება
10. გასაუბრებები
11. პროგრამა მებოსტნეობა და მისი დანართები
12. პროგრამული ბიუჯეტი

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

კოლეჯში დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის №11 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა **დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გაუმჯობესე.** დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველოყოფის მექანიზმები, სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები, ვერიფიკაციის პროცედურები, შიდა მხარდამჭერი ჯგუფის ჩამოყალიბების მიზნები და ფუნქციები. აღნიშნული პროცედურები, ფორმები და მექანიზმები სრულად უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობას და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას.

დაწესებულებას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების, მასწავლებლების რეგულარულ გამოკითხვაზე, მიღებული შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებაზე.

კოლეჯს შემუშავებული აქვს კითხვარები: 1. კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კითხვარი, 2. დამსაქმებლების კითხვარი 3. სტუდენტების კითხვარი, 4 მასწავლებლების კითხვარი, 5 შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი, რომელთაც აქტიურად იყენებს დაინტერესებული მხარეებისაგან უკუკავშირის მისაღებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. **Შსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი,** რომელიც განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. დოკუმენტით დეტალურადაა გაწერილი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, შეცვლასა და დანერგვაში მონაწილე პირები, როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს ცვლილებას, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულებაში ან მის გარეთ. ასევე გაწერილია როგორც ცენტრში ცვლილებების ინიცირების, ასევე საკუთარი ცვლილებების ინიცირების შესაძლებლობა.

პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - 2021 წლის 11 თებერვლის №11 ბრძანება; ცვლილება 18.08.2021, N88
2. სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი -2021 წლის 28 იანვრის №3 ბრძანება; ცვლილება 11.11.2021, N139
3. გასაუბრება
4. შემუშავებული კითხვარები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

სასწავლო გეგმაში მოდულების თანამიმდევრობა და ჩატარების პერიოდები შესაბამისობაშია აგროვადებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. **Ვსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულებაში შემუშავებულია **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,** რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა და პირობები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისან მისი კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერის აქტიურ მონაწილეობას, რომ პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

მებოსტნეობის პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან. კოლეჯი აღჭურვილია დარგის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური წვდომა საგანმანათლებლო რესურსებთან, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. გაფორმებული მემორანდუმი წარმატებულ მსხვილ ფერმერთან შესაძლებლობას მისცემს პროფესიულ სტუდენტებს თვალნათლივ დაინახონ თუ როგორ ხდება პრაქტიკაში თანამედროვე მიდგომების გამოყენება. კოლეჯს დაგეგმილი აქვს მომავალშიც ითანამშრომლოს წარმატებულ ფერმერებთან თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების პროფესიულ სტუდენტებისათვის გასაზიარებლად.

სსიპ კასპის კოლეჯმა განახორციელა შეხვედრები პარტნიორ კოლეჯებთან მებოსტნეობის მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით. კოლეჯი ამ ეტაპზე აწარმოებს მოლაპარაკებებს გორის მსხვილ მეწარმესთან საერთაშორისო პროექტის ფარგლებში თურქეთიდან სპეციალისტების მოსაწვევად პროფესიული მასწავლებლებისათვის მასტერ კლასების ჩასატარებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ფარგლებში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, რომლის თანახმად ინდივიდუალური გეგმა შემუშავების საფუძვლებია: ა. დაწესებულებაში სწავლობს სსსმ/შშმ პირი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას; ბ. მობილობის შემთხვევაში, როდესაც არსებობს სწავლის შედეგებს შორის განსხვავება; გ. სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენა; დ. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღება ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფა. ე. ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება

შესაბამისად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ყველა ის შემთხვევა რომლის დროსაც კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკა არ არის გათვალისწინებული და ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა მთლიანად კოლეჯში (სწავლის შედეგების 100%).

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N 26 ბრძანებით დამტკიცებული აქვს **„სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი“**, რომელშიც გაწერილია როგორც დაწესებულების პერსონალის ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიული სტუდენტების სამუშაო **ადგილზე რისკების აღმოჩენისა და პრევენციის გზები.** აღნიშნული წესის საფუძველზე მებოსტნეობის პროგრამისთვის ცალკე შექმნილია ორი დოკუმენტი: 1. **ინსტრუქცია მებოსტნეობა -შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს პრაქტიკული დაწყების წინ და 2. რისკების შეფასების მატრიცა და რისკების შემცირების ღონისძიებები.**

აღნიშნული დოკუემნტების საფუძველზე მებოსტნეობის პროგრამისთვის ყველაზე მაღალ რისკის შემცველად მიიჩნევა ქიმიურ ნივთიერებებთან და მცენარეთა დაცვის საშუალებებთან კონტაქტი. აღნიშნული რისკის თვიდან ასაცილებლად კოლეჯს დაგეგმილი აქვს შეიძინოს პროფესიული მსმენელებისათვის **პირადი დაცვის საშუალებები, როგორებიცაა (სპეც ტანსაცმელი) უსაფრთხოების სათვალე, რესპირატორი, რეზინის ხელ**თათმანი. აღნიშნული საშუალებების შესყიდვა დაგეგმილია სტუდენტთა ჩარიცხვის შემდგომ. აღნიშნული ხარჯები გათვალისწინებულია ბიუჯეტში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო გეგმა
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი -2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანება; ცვლილება - 20.10.2021
3. „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების წესი“, დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის N 26 ბრძანება
4. ინსტრუქცია მებოსტნეობა „შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს პრაქტიკული დაწყების წინ“ - დანართი №23; დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით; N140, 12.11.2021
5. რისკების შეფასების მატრიცა - მებოსტნეობა
6. გასაუბრებები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1) **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს შეფასების სისტემას, სადაც დეტალურადაა გაწერილი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები,

შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და

შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, რომელი ინსტრუმენტი

გამოიყენება, რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრის გასწორება და შეფასება.

კოლეჯს ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სსიპ კასპის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადაც მოცემულია ვერიფიკაციის პრინციპები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
ობიექტურობა. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის გეგმა და შიდა მხარდამჭერი ჯგუფის გეგმა

2) **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია დკუემენტში „სსიპ კასპის კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმები". ვერიფიკაცია მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ეფუძნება პრინციპებს: ვალიდურობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა, სანდოობა და ობიექტურობა. ასევე, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნას, რისკფაქტორების განსაზღვრას, ინტერესთა კონფლიქტს, ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგს. რისკების განსაზღვრისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა რისკი ფასდება შესაბამისი კოეფიციენტით. დაწსებულება პირველ ეტაპზე ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს ყველაზე მაღალი კოეფიციენტის მქონე გარემოებების ჭრილში, შემდგომი ეტაპი კი მოიცავს საშუალო/დაბალ რისკებს.

ვერიფიკაცია 3 მიმართულებით ხორციელდება:1. შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; 2.პროცესის ვერიფიკაცია და 3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3) **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, აღრიცხვის, შენახვის და განკარგვის წესი. შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულების მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.

4) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი - დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N10 ბრძანებით, ცვლილება 18.08.2021, №89 ბრძანებით
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი -დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 თებერვლის №10 ბრძანებით; ცვლილება - 20.10.2021
3. ვერიფიკაციის გეგმა
4. შიდა მხარდამჭერი ჯგუფის გეგმა
5. სსიპ კასპის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები -დამტკიცებულია სსიპ კასპის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის №11 ბრძანებით;ცვლილება 18.08.2021, N88
6. გასაუბრებები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი

29.01.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: